



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

**Honorary
Doctor**

შალვა ამონაშვილი



აკად. შალვა ამონაშვილი არის ქართველი პედაგოგი და ფსიქოლოგი. დაიბადა 1931 წლის 8 მარტს, თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი 1955 წელს, 1958 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური მეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1960 წლიდან ამავე ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, დირექტორად.

1964 წელს თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია, ხელმძღვანელობდა მასობრივ ექსპერიმენტებს დაწყებითი განათლების პრობლემებზე საქართველოს რამდენიმე რაიონში. 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფსიქოლოგიაში. 1987-1990 წლებში მუშაობდა ექსპერიმენტული სამეცნიერო საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალურ დირექტორად.

შალვა ამონაშვილი ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში აღიარებული იყო როგორც ერთ-ერთი პედაგოგ-ნოვატორი. მან პირველად საქართველოში შემოიღო ხუთდღიანი სასწავლო კვირა. 1988 წლის 20 დეკემბერს განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე მოითხოვა ჩვენი მოსწავლეების დახსნა ცენტრალური გათანაბრებისა და შტამპისაგან: მისი სამართლიანი აზრით, ნებისმიერი ეროვნების ბავშვს საკუთარი ეროვნული თავისებურებანი აქვს და არ შეიძლება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ერთიანი სასწავლო გეგმით, პროგრამითა და სახელმძღვანელოთი მუშაობა: „სანამ ასეთი ვითარება იქნება ჩვენს სკოლებში, სკოლის კედლებიდან გამოვლენ სკოლაზე და ცხოვრებაზე გაავებული ჭაბუკები და ქალიშვილები“.

მოსკოვში მან შექმნა საკუთარი საგამომცემლო სახლი, სადაც აკადემიკოს დ. ზუევთან ერთად „ჰუმანური პედაგოგიკის ანთოლოგიას“ გამოსცემს. ამჟამად გამოცემულია 54 ტომი. შალვა ამონაშვილი 50-მდე წიგნის ავტორია, ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე გამოცემული მისი წიგნებიდან ცნობილია: „გარდაქმნის მთავარი პირი: სკოლის პრობლემები“, თბილისი, 1989; „გამარჯობა, ბავშვებო!: მასწავლებელთა დასახმარებლად“, ცხინვალი, „ირისტონი“, 1989; „გამარჯობა, ბავშვებო!: დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის“, სოხუმი, „ალაშარა“, 1988 და სხვები.

1985 წელს ბატონი შალვა აირჩიეს საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1989 წლის 27 იანვარს — ნამდვილ წევრად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1993 წლის 21 მარტს, იგი რუსეთის განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

აკად. შალვა ამონაშვილს ლექციების წასაკითხად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწვევენ, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი მსოფლიოს ასამდე ქვეყნის საპატიო დოქტორია და ასაკის მიუხედავად, ენერგიულად აგრძელებს აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

1991-1998 წლებში სათავეში ედგა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიათა ფაკულტეტს. 2000 წლიდან არის ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო 2014 წლიდან ამავე ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი.